ექსპერტიზის დანიშვნის ზოგადი პროცედურები

სსიპ - ლევან სმხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში ექსპერტიზის დანიშვნა შეუძლიათ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, საჯარო უწყებებს.

ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელია:

- ბიუროს ნებისმიერ ფილიალში
- საფოსტო მომსახურების საშუალებით
- მეილით info@expertiza.gov.ge

ექსპერტიზის დასანიშნად წარსადგენი დოკუმენტაცია:

რეზიდენტი ფიზიკური პირებისთვის:

- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- განაცხადი ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით (ფორმდება კვლევის დანიშვნისას, ბიუროშივე)

შენიშვნა: *ექსპერტიზის დანიშვნა შესაძლებელია სხვა პირის ნაცვლად ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო.*

არარეზიდენტი ფიზიკურ პირებისათვის:

- ნოტარიალურად ნათარგმნი პირის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტი;
- განაცხადი ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით (თარჯიმნის ან ნოტარიუსის მიერ ქართულ ენაზე თარგმნილი და დამოწმებული)

შენიშვნა: *ნივთმტკიცების ან გამოსაკვლევი მასალის წარდგენა ხდება დამნიშნავის მიერ განაცხადთან ერთად, ან კვლევის დროს ექსპერტის მოთხოვნის შემდეგ.*

იურიდიული პირებისთვის / საჯარო უწყებებისათვის

- განაცხადი ექსპერტიზის დანიშვნის თაობაზე ხელმოწერილი უწყების ხელმძღვანელის ან მისი ნდობით აღჭურვილის პირის მიერ შესაბამისი მინდობილობის წარმოდგენის საფუძველზე.

განცხადების/მომართვის წარდგენის შემდგომ დამკვეთსა და ბიუროს შორის ფორმდება ორი ტიპის ხელშეკრულება:

- ერთჯერადი
- მრავალჯერადი

შენიშვნა: *ნივთმტკიცების ან გამოსაკვლევი მასალის წარდგენა ხდება დამნიშნავის მიერ განაცხადთან ერთად, ან კვლევის დროს ექსპერტის მოთხოვნის შემდეგ.*

ექსპერტიზის დასკვნის გაცემა:

- ექსპერტიზის დასრულებისთანავე,დასკვნის მომზადების შესახებ ინფორმაცია დამკვეთს ეგზავნება განცხადებაში მითითებულ მობილურ ნომერზე სმს შეტყობინება სახით .
- საექსპერტო დასკვნის გატანა დამკვეთს შეუძლია მოკლე ტექსტურ შეტყობინებაში (SMS) მითითებული მისამართიდან.
- ფიზიკური პირისა და კერძო ორგანიზაციების შემთხვევაში, დასკვნა არ გაიცემა თუ ექსპერტიზის საფასური სრულყოფილად არ იქნება დაფარული.
  შენიშვნა: *არარეზიდენტი პირების შემთხვევაში ექსპერტიზის საფასურის გადახდა ხორციელდება ექსპერტიზის დანიშვნისას.*